

ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ნ.მოლაშხია- ააიპ „ზუგდიდდასუფთავების
ცენტრი“-ს დირექტორი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვა 26 აპრილის მდგომარეობით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის
განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და
პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

- 3 . სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურისა
განვითარების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი N4

ქ.ზუგდიდი

27 აპრილი 2016 წელი
12:00 სთ-ზე

2016 წლის 27 აპრილს შედგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: თ.მარკოზია, ს.გოგოხია, რ.თორდია, მ.წოწერია; ზ.ხუბუა, გ.ნაჭყეზია, თ. თორდია, ე.ახალაია, გ.სორდია, მ.ხვიჩია, რ.ფიფია, ლ.თოდუა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ვ.სურმავა, მ.ჭეჟია.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების და პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი რ.კილასონია.

აიიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი -ნ.მოლაშხია.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან და არასამთვრობო სექტორთან ურთიერთობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი ლ.ფეტელავა

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 14 წევრიდან 12 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე თემურ მარკოზია.

სხდომის თვმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დღის წესრიგი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა;

მომხსენებელი: თ.მარკოზია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ნ.მოლაშხია- ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს დირექტორი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვა 26 აპრილის მდგომარეობით;

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: რ.კოლასონია-ეკონომიკური განვითარების და პროგრამის მართვის სამსახურის უფროსი

3. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 11 აპრილს N117 (სარეგ. N 362/03) შემოსულია ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიში .

აზრი გამოთქვას : ნ.მოლაშხიას განმარტებით : ნარჩენების მართვის სფეროში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მომსახურეობა ფაქტიურად დაიწყო 2015 წლიდან, მუნიციპალიტეტის მთელს 48 ერთეულში მიმდინარეობს შრომის ორგანიზაციის სრულყოფა, კერძოდ დაწყებულია და მიმდინარეობს მოსახლეობის მომსახურეობით ეტაპობრივად, მთლიანად დაფარვის უზრუნველყოფის პროცესი.

2016 წლიდან იგეგმება სოფლის მოსახლეობის კონტეინერული და კარდაკარ შემოვლით მომსახურეობის ეტაპობრივი პროგრამის განხორციელება, რომელსაც გარკვეული დრო და სერიოზული მატერიალური რესურსები დასჭირდება.

მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2015 წელს შეძენილ იქნა:

1. Ford- ის მარკის 2 ახალი ორღერძიანი ნაგავმზიდი მანქანა, საერთო ღირებულებით 385 000 ლარი.
2. 90 ცალი 1,1მ³ ტევადობის ლითონის კონტეინერი- 80 000 ლარი.
3. 200 ცალი 240 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნა- 21 000 ლარი.
4. 150 ცალი 80 ლ. ტევადობის პლასტმასის ურნა 14 000 ლარი.
5. 100 ცალი 50 ლ. ტევადობის ბოძებზე დასამონტაჟებელი ურნა- 11 000 ლარი.
6. 1 ცალი ზღვის სანაპიროს გამწმენდი უნივერსალური ტრაქტორი - 11 000 ლარი.

ამ ღონისძიებებით „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს სამსახურისთვის გადმოცემული ძირითადი საშუალებების ღირებულებამ 680-000 ლარს გადააჭარბა.

რეფორმის ფარგლებში 2015 წელს ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს რაიონის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაში შეიქმნა 120 ერთეულზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი.

საანგარიშო პერიოდში რაიონის ტერიტორიიდან (ძირითადად 48 სოფლის ცენტრიდან) ნაგავსაყრელში გადაზიდულია 4500 მ³ -ზე მეტი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი. საშუალოდ დღეში რაიონის ტერიტორიიდან გაიზიდება 45-55 მ³.

სტიქიური ნაგავსაყრელების სალიკვიდაციო სამუშაოები ჩატარდა და ლიკვიდირებულ იქნა სტიქიური ნაგავსაყრელები ზუგდიდი-ჯვარის გზაზე.

ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს რაიონის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტალის შემოსავალმა შეადგინა 418.4 ათსი ლარი.

შემოსავლების დანახარჯების სტრუქტურა ასეთია:

1. გაცემულია შრომის ანაზრაურებაზე 299.2 ათასი ლარი, მთელი დანახარჯის 71,5 %. საშემოსავლო გადასახადმა შეადგინა 59.8 ათასი ლარი.
2. ტრანსპორტის, ტექნიკის ექსპლოატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა 84,6 ათასი ლარი, მთელი დანახარჯის 20%.

მათ შორის :

- ა. საწვავ-საცხები მასალების შექმნაზე დაიხარჯა 32,7 ათასი ლარი.
- ბ. სათადარიგო ნაწილების შექმნაზე და რემონტზე დახარჯულია 51,9 ათასი ლარი.
3. სპეცტანსაცმლის, სხვადასხვა მცირე ფასიანი საქონლის და ინვენტარების შექმნის დანახარჯებმა შეადგინა 34,3 ათასი ლარი, მთელი დანახარჯების 8,2%
4. სხვა დანახარჯებმა შეადგინა 0.3% ლარი.

2016 წლისთვის რაიონის მუნიციპალიტეტისათვის მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გამოყოფილია 3 ნაგავმზიდი ავტომანქანა და 100 ცალი ევრო კონტეინერი. არსებული და გამოყოფილი ტექნიკა (სულ 5 ერთეული), საკმარისია შეგროვებული ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ არასაკმარისია არსებული კონტეინერების რაოდენობა და დამატებით საჭიროა შექმნილ იქნას :

- 1,1მ³ ტევადობის მეტალის ურნები 3583 ცალი;
- 240 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნები 770 ცალი;
- 50-80 ლიტრის ტევადობის პლასტმასის ურნები 533 ცალი

რაიონის მასშტაბით ანაკლია-განმუხურის საკურორტო ზონის, დარჩელის კულტურის ცენტრის, „რუხი მოლის“, ზედაეწერის საფეხბურთო სტადიონის, სხვა დანარჩენი სოფლის ტერიტორიული ერთეულების მაღალ დონეზე და ხარისხიანად მომსახურეობის უზრუნველსაყოფად და ჩასატარებელი სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად სასურველია შექმნილ იქნეს:

ზღვის ქვიშიანი სანაპირო ზოლის ქვებისაგან გამწმენდი (ქვის შემგროვებელი) მანქანა.

ბულდოზერ-ექსკავატორი;

საკურორტო ზოლში ტროტუარებისა და სკვერების დამგველი მანქანა 2 ერთეული;

გზის გამრეცხი წყლის მშხეფი სპეცმანქანა;

ასენიზაციის სპეცმანქანა;

თვითმცლელი ავტომანქანები 5-10 მ³ ტევადობის 3 ერთეული;

თვითმცლელი ტრაქტორი;

თვითმცლელი მოტოროლები 4 ერთეული;

მცირე ზომის ურნების ამღები სპეცმანქანა;

ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს სამსახურს შედგენილი აქვს 2016 წლის შემდგომი პერიოდის სამუშაო გეგმა, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და საკრებულოს თანადგომით მთლიანად და წარმატებით იქნება შესრულებული.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს: საკითხი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“-ს 2016 წლის I კვარტალში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენი“-ს თაობაზე შეფასებულ იქნა დადებითად

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის თ. მარკოზიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2016 წლის 26 აპრილს N02/1915 შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელის მომართვა, რომლებიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 2016 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამას 26 აპრილის მდგომარეობით.

აზრი გამოთქვას: რ.კილასონიას განცხადებით ინფრასტრუქტურის კომისიის წინა სხდომაზე განხილულ სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში მოხდა გარკვეული ცვლილებები, კერძოდ:

გრიგოლიში- საკიკალიშვილოს უბანში ხიდის აღდგენა;

სკოლის ტერიტორიის შემოღობვა

დარჩელი- მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით საგზაო ნიშნების მოწყობა

დავითიანი- საგზაო ნიშნის მოწყობა;

ოდიში- შინმოუსვლელთა მემორიალის რეაბილიტაცია;

სოფლის ცენტრიდან N1 სასაფლაომდე გზის რეაბილიტაცია;

ოფაჩხაფუ- გარეგანათების რეაბილიტაცია;

ყულიშკარი- ტურისტული ობიექტების მიმანიშნებელი ნიშნების მოწყობა;

რიყე- ადმინისტრაციული ტერიტორიის გამიჯვნა კერძო არასასოფლო დანიშნულების მიწისაგან

ხეცერა- საკუტალიო, საკოდუოს უბანში მინისტადიონის მოწყობა;
პარკის მოწყობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა;

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ეყაროს კენჭი აღნიშნულ საკითხს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

დაადგინეს: საკითხი გატანილ იქნეს ბიუროზე შემდგომში საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა;

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე:

თ.მარკოზია